2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართება. ამომრჩევლები ოთხი წლის ვადით საქართველოს პარლამენტის 150 დეპუტატს პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩევენ. საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტს მაინც მიიღებენ.

საარჩევნო ხმის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს.

არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების

დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმება შესაძლებელია კომპიუტერის, პლანშეტის, მობილურის ან სწრაფი გადახდის აპარატის გამოყენებით (ვებგვერდზე cesko.ge ან voters.cec.gov.ge)

ან ჩამოტვირთოს აპლიკაცია Voters Georgia – Cesko.
(iOS , Android)

გარდა ამისა, ამომრჩეველს შეუძლია მივიდეს იმ საუბნო საარჩევნო კომისიის მისამართზე, სადაც არის რეგისტრირებული და ადგილზე გადაამოწმოს მონაცემები ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ვერსიაში. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში კი განცხადებით მიმართოს საუბნო ან საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვოს ამომრჩეველთა სიაში ცვლილების შეტანა.

სიაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნა შესაძლებელია 8 ოქტომბრის ჩათვლით.

ამომრჩეველს შეუძლია ეწვიოს ვებგვერდს https://voters.cec.gov.ge/ შესაბამის ველში შეიყვანოს პირადი ნომერი და გვარი და გაეცნოს მისი და მისი ოჯახის წევრების მონაცემებს და რუკის საშუალებით ნახოს საარჩევნო უბნის მისამართი, ან დაუკავშირდეს ცესკოს კონტაქტ-ჰაბს ნომერზე - 2 51 00 51.

უცხო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნა ხდება ბინის მესაკუთრის განცხადების საფუძველზე, რომელიც უნდა წარედგინოს

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

არჩევნებისთვის სულ 3030 (მათ შორის 2262 უბანზე კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გაიმართება რაც ითვალისწინებს ამომრჩეველთა რეგისტრაციას, ხმის დათვლას და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურებს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, 768 უბანზე კი ტრადიციული წესით) საარჩევნო უბანი გაიხსნება.